19–30

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 1 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) 5:1. (2:1).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩიგაშვილი, კოსტავა, გ. მაჩაიძე (ჩივაძე), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ჩელებაძე).

“დნეპრი”: შატოხინი, სკლიარი, ჟუკოვი, დანილევსკი, შალნევი, ლისენკო, შნეიდერმანი (მოტუზი), სამოილენკო (იაკოვლევი), კუცევი, შელესტი, მალკო.

მსაჯი: ვ. ლუშინი (მოსკოვი).

დუბლიორები – 4:2 თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს წერეთელმა (2), ბაზაზაშვილმა და ძებისაშვილმა.

ფეხბურთის სტატისტიკოსებმა “დნეპრის” წლევანდელ მაჩვენებლებში ერთ საინტერესო, მნიშვნელოვან დეტალს მიაგნეს: თურმე, დნეპროპეტროვსკელები, წარსული წლებისგან განსხვავებით, ახლანდელ ჩემპიონატში საუკეთესოდ გამოდიან მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე. მათ გასვლაზე მოუგიათ 3 მატჩი და საერთო აქტივიდან 5 ქულა სწორედ სტუმრად აქვთ აღებული. თუ ეს მაჩვენებელი უშუალოდ გამოხატავდა დნეპროპეტროვსკელთა გუნდში მომხდარ გარდაქმნებს, მოსალოდნელი იყო, რომ ისინი თბილისში ლიდერს შეუპოვარ ბრძოლას შესთავაზებდნენ.

“დნეპრმა” მართლაც შეუპოვრად იბრძოლა, განსაკუთრებით მატჩის პირველ ნახევარში, მაგრამ ვერ გადაურჩა წაგებას, თანაც ისეთი ანგარიშით, რომელიც წლევანდელ ჩემპიონატში ჯერ არ ყოფილა ფიქსირებული.

მატჩის დასაწყისი ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობდა და არსებითად თბილისის “დინამოს” თავდამსხმელებისა და “დნეპრის” მეკარე შატოხინის მრავალრიცხოვან “დუელს” წარმოადგენდა. მეკარემ ჯერ ეფექტურად ჩამოხსნა რამდენიმე მაღალი ბურთი, შემდეგ აიღო მასთან პირისპირ გასული მ. მაჩაიძის დარტყმა, მერე, თანმიმდევრულად, ყიფიანის, გუცაევის, შენგელიას დარტყმები. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს შატოხინის კარის აღება ამ დღეს შეუძლებელი გახდებოდა, მაგრამ როგორც უკვე იცით, შეუძლებელი არ მოხდა და თავგანწირულ მეკარეს ხუთჯერ დასჭირდა მეტად უსიამოვნო პროცედურის შესრულება – ბადიდან ბურთების გამოტანა.

25–ე წუთზე შალნევმა თავის კართან წააქცია ყიფიანი, ამ უკანასკნელმა დაარტყა პენალტი და შატოხინმა ეს ბურთიც მოიგერია, მაგრამ მას მიუსწრო ქორიძემ და მეკარე ამჯერად უკვე უძლური იყო. ორი წუთიც არ გავიდა, რომ ამ გოლის გაქვითვა შეძლო კუცევმა, ტაიმის ბოლოს კი კოსტავა სწრაფად ჩაერთო მოპირდაპირე კარის იერიშში და ზუსტი დარტყმით გაგზავნა ბურთი მიზანში.

როგორც კი განახლდა თამაში მეორე ტაიმში, მეკარისა და შალნევის შეუთანხმებლობის შედეგად წამით ღია პოზიციაში აღმოჩნდა ჩელებაძე, რომელმაც არ დააყოვნა დნეპროპეტროვსკელთა ამ შეცდომის გამოყენება – 3:1.

ამ დროიდან მოყოლებული თამაში ფაქტიურად ცალ კარში მიმდინარეობდა. შატოხინს კვლავ უხდებოდა თავგამოდებული ბრძოლა კარის სახსნელად, მაგრამ მისი ოსტატობა უკვე გუნდს ვეღარ რგებდა რთულ სიტუაციებში. ასე 62–ე წუთზე მოულოდნელ გარღვევაზე მყოფმა ყიფიანმა მაინც შეძლო თავისი “ულუფა” გოლის გატანა, 78–ე წუთზე კი კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს მეხუთედ მიუჩინა “ბინა” დნეპროპეტროვსკელთა კარში ჩელებაძემ.

თბილისის “დინამოს” თამაში ამ მატჩში უდავოდ ქებას იმსახურებს. გამარჯვება იყო სრული, დამაჯერებელი, შეიძლება ითქვას, გუნდში სუსტი არ იყო არც ერთი რგოლი.

მატჩის შემდეგ სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ ორივე გუნდის საუკეთესო მოთამაშეები. ესენი იყვნენ დ. ყიფიანი და ვ. კუცევი.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 2 ივლისი, 1977 წ.